ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომის

# ო ქ მ ი N26

სხდომის ჩატარების თარიღი: 2023 წლის 27 ივნისი

სხდომის ჩატარების ადგილი:
საკონფერენციო დარბაზი, ოთახი 210.
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომის სპიკერები: საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ზ.მახარაძე** და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ბატონი **ა.კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ:

**ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრები:**

მ.კოსტავა, თ.ნადირაძე, მ.რიჟამაძე, ზ.მამასახლისი, მ.სიმონიძე, ჯ.ბიბილეიშვილი, ნ.ბიბილეიშვილი, კ.გურული.

**საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:**

გ.ბასილაძე, მ.ნიჟარაძე, ი.შენგელია, პ.ლილუაშვილი, მ.ჭოხონელიძე, ე.არჩაია.

**სულ:** 16 წევრი.

**არ ესწრებოდა:** ბ.ხამაშურიძე, გ.შუშანია, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე.

**სულ:** 8 წევრი

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდენ:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბატონი **ი.უგულავა**, საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის განყოფილების უფროსი **ტ.მაკარიძე**, მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მ.ხიდაშელი** და ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ქალბატონი **თ.ბერიშვილი.**

სხდომა გახსნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ზ.მახარაძემ** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი დღის წესრიგი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში

2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტის მოწონების შესახებ;

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი N53ბ) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიისა და ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის გაერთიანებულ სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა,სანამ უშუალოდ სხდომის დღის წესრიგის კენჭისყრას დავიწყებთ, მინდა ერთი ინფორმაცია მოგაწოდოთ: როგორც მოგეხსენებათ, USAID-ს მხარდაჭერით მუშავდება ჩვენი კომისიის სტატეგიული გეგმა, ბოლო შეხვედრა ონლაინ რეჟიმში გვქონდა 22 ივნისს. მორიგი შეხვედრა იგეგმება 29 ივნისს, 14 საათზე, სტრატეგიის პროექტი გადმოგზავნილი გაქვთ, გთხოვთ, პარასკევს შემოხვიდეთ ონლაინ, ჩვენგან გამოგზავნილ ბმულზე, რომელიც მოგეწოდებათ და მონაწილეობა მიიღოთ სტრატეგიის განხილვისადმი მიძღვნილ მორიგ შეხვედრაში. ახლა მთავარ საკითხზე გადავიდეთ, დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებულია ბიუჯეტის მესამე ცვლილების განხილვა. სასიამოვნო ცვლილება გვაქვს ბიუჯეტში, რომელიც მისი 180,1 ათასი ლარით ზრდას ითვალისწინებს. კერძოდ, დაკორექტირდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის N2435 და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებები, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში განხორციელდა პროგრამულ კოდებს შორის თანხების გადატანა. ამით შემოსავლები და ხარჯები გაიზარდა. უფრო დეტალურად ამ ცვლილებას ბატონი ტარიელ მაკარიძე გაგვაცნობს".

**მოისმინეს:** მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის განყოფილების უფროსის ტ.მაკარიძის ინფორმაცია 2023 წლის ბიუჯეტის მე-3 ცვლილების შესახებ: „ცვლილების მიზანი იყო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. კერძოდ, ცვლილებები შევიდა მთავრობის

განკარგულებებში, რომელიც ახსენა ბატონმა ბექამ. N2475 განკარგულების ცვლილებით დაგვემატა 9,1 ათასი ლარი, ხოლო N116 განკარგულებით - 71 ათასი ლარი. საკუთარი შემოსავალი გაიზარდა 100 ათასი ლარით, რამაც ბიუჯეტი საბოლოოდ 180,1 ათასი ლარით გაზარდა. მესამე ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 125 908,8 ათას ლარს".

**ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, **ი.უგულავა**: „რამდენიმე საკითხზე მინდა მოგახსენოთ. ჯერ ერთი, სტიქიის შედეგების აღმოფხვრის მიზნით ბიუჯეტი კვლავ გაიზრდება. ამისათვის ჩვენ გადავაგზავნეთ მოთხოვნა 1 მლნ. ლარზე. გასაკეთებელია საყრდენი კედელი გაფრინდაშვილის ქუჩაზე, ასევე თანხები სჭირდება წყალტუბოს ქუჩასაც. ახლა ვხარჯავთ 401 ათას ლარს. პროექტირება გამოცხადებულია და ეს თანხა მილიონ ლარამდე გაიზრდება, მეორე - ტრანსპორტზე სუბსიდია შევამცირეთ 400 ათასი ლარით, თუმცა რეზერვი კიდევ დავიტოვეთ დაახლოებით 300 ათასი ლარი. შემცირებას ვგეგმავდით. საწვავზე ფასები შემცირდა და ამოღება 20%-ით გაიზარდა. ჩვენ მათ ვუძენთ მხოლოდ საწვავს, ხელფასს თვითონ იფინანსებენ".

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე**: „რამდენით გაიზარდა ამოღება?"

**ი.უგულავა**: „დაახლოებით 20%-ით, რაზეც დადებითად იმოქმედა კონტროლის გამკაცრებამ და ჯარიმებმა. თუმცა პრობლემა მაინც სკოლის მოსწავლეებია, რომლებიც მასიურად არ იხდიან და ვერც ვაჯარიმებთ. ვიცი ახლა რასაც მეტყვით მათ შეღავათებზე. ჩვენ 6 თვის შედეგებით შევისწავლით ამ საკითხს და მოგახსენებთ ამის შესახებ".

კომისიის წევრი **მ.კოსტავა**: „ტრანსპორტის კუთხით რთული მდგომარეობაა გელათის ქუჩაზე. მოსახლეობა გამოთქვამს უკმაყოფილებას და შეიძლება ხვალ სხდომაზეც მოვიდნენ, მე ვერ ვაძლევ მათ პასუხს ამის თაობაზე".

**ი.უგულავა**: „თბილისის ერთ-ერთმა კომპანიამ ჩაატარა კვლევა სვლა-გეზებთან დაკავშირებით, დაახლოებით ათ დღეში წარმოადგენს შედეგების პრეზენტაციას. იცვლება კერძო სვლაგეზების 80%. ჩვენ გვინდოდა 10 მიკროავტობუსის შეძენა 1,1 მლნ. ლარად, მაგრამ სამინისტრომ კორექტივები შეიტანა და ავტობუსების შეძენა გადაწყდა. თუმცა, ლანდშაფტის გათვალისწინებით, ჩვენ მაინც შევიძენთ მიკროავტობუსებს ცალკე ტენდერით, ახალ სვლა-გეზებს გაგაცნობთ, სადაც ასეთი რთული მონაკვეთებიც იქნება და ვიმსჯელოთ ამის შესახებ".

კომისიის წევრი **მ.ნიჟარაძე**: „გელათის ქუჩაზე მართლაც რთული მდგომარეობაა. რა შეიძლება გაკეთდეს, რომ ამ ხალხს ტრანსპორტზე წვდომა ჰქონდეთ?"

**ი.უგულავა**: „მე გთავაზობთ შემდეგს, ჯერ ვნახოთ შემოთავაზებული სვლა-გეზები და თუ ეს მონაკვეთი წამგებიანი აღმოჩნდა, მერია აიღებს მას და ჩვენ დავნიშნავთ ტრანსპორტს. ამას ცოტა დრო დაჭირდება".

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე**: „იგივე მდგომარეობაა ავანგარდშიც, ამაზე მეც ხშირად მაწუხებენ, ტრანსპორტი იშვიათად დადის და სამსახურამდე მისვლა უჭირთ".

**ი.უგულავა**: „გეთანხმებით. ამ პრობლემაზე თითქმის ყოველ მეორე დღეს შემოდის წერილი. ვიმსჯელოთ იმ ახალ სქემებზე და მერე წამგებიან სვლა-გეზებს ჩვენ „წამოვიღებთ" და დავალაგებთ, როგორც მოგახსენეთ".

კომისიის წევრი **პ.ლილუაშვილი**: „აეროპორტთან დამაკავშირებელ ავტობუსებზე რა მდგომარეობაა?“

**ი.უგულავა**: „როგორც ადრე ვისაუბრეთ, დაველოდოთ გრანტს და მოგვარდება იმ 2 ავტობუსის საკითხიც“.

კომისიის წევრი **კ.გურული**: „სუბსიდიის შემცირება გამოიწვია საწვავზე ფასების შემცირებამ, თუმცა ბოლო პერიოდში ისევ გაიზარდა საწვავზე მსოფლიო ფასები, ამ შემთხვევაში რას ვაკეთებთ?“

**ი.უგულავა**: „ჩვენ მიბმული ვართ კონსოლიდირებულ ტენდერზე, რომელიც ნაკლებ საფრთხეებს შეიცავს, ამ გადაწყვეტილებას წინ უძღვოდა ბოლო თვეების სტატისტიკის შესწავლა ჩვენს მიერ, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ტრანსპორტის სუბსიდირებაში გარკვეული რეზერვი კიდევ გვაქვს“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე**: „თუ სხვა შეკითხვები არ გვაქვს, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს“.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 16 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბ.ხამაშურიძე, გ.შუშანია, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე

ღია კენჭისყრით, (მომხრე-15, თავი შეიკავა ნინო ბიბილეიშვილმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

**მუხლი 2.** დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხის- „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო

ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **მ.ხიდაშელმა**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.ხიდაშელმა** აქვე განმარტა: „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ნუსხას ემატება ერთი ობიექტი ეს არის, მე-17 კომპლექსური, სპორტული სკოლის ნაწილი, როგორც თქვენთვის ცნობილია ჩვენ სპორტული სკოლის ერთი ფლიგელი დავამთავრეთ სრულად, დარჩენილია ორი ნაწილი, კრივის ადმინისტრაციის შენობა და ეს შენობა ასევე გამოიყენება ტურნირების დროს როგორც სასტუმრო, ამ ორი ნაწილის დაფინანსებაზე ბატონმა ილიამ მოგვცა დაპირება და ჩვენ ახლა გავდივართ პროცედურულ ნაწილს, რის შემდეგაც მივმართავთ საკონსულტაციო საბჭოს და წარვადგენთ დაფინანსებაზე სამინისტროში."

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

კომისიის წევრი, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ამ მოწონებული პროექტებიდან რამდენია დაკმაყოფილებული პროცენტულად?"

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **მ.ხიდაშელი:** „ამ ერთი პროექტის გარდა რომელიც ახლა შემოვიტანეთ , ან მიმდინარეობს სამუშაოები ან დასრულებულია და ან ტენდერზეა გატანილი, აქ ნუსხაში არ გვხვდება ისეთი ობიექტი, რომელზეც მოქმედება დაწყებული არაა."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „თხოვნა მექნება, მომავალი წლიდან როდესაც იქნება საუბარი რომელიმე ახალი პროექტის ნუსხაში დამატებაზე, პირობითად 20 პროექტიდან ერთობლივი გადაწყვეტილებით რომ მოხდეს არჩევა ყველაზე მნიშვნელოვანის."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 16 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გ.ხამაშურიძე, გ.შუშანია, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-15, თავი შეიკავა ნინო ბიბილეიშვილმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების

საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტის მოწონების შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა აქვე** განმარტა: „წარმოდგენილია დოკუმენტი, რომელიც შეეხება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, 2030 წლისთვის სამიზნე მაჩვენებლებია ძირითადად ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამების მიხედვით და ყოველწლიურად უნდა მოხდეს მონიტორინგი ბიუჯეტისა და ამ დოკუმენტს შესაბამისობისა, რამდენად იქნება ეს სამიზნე მაჩვენებლები მიღწეული, კიდევ დავკონკრეტდები, ეს გაეროს განვითარების მიზნებია, საქართველოს ვალდებულება აქვს აღებული, რომ შეიმუშავებს ყველა მუნიციპალიტეტის დონეზე აღნიშნულ დოკუმენტს. ჩამოთვლილია სოციალური პროგრამები, როგორც არსებული, ისე სამომავლოდ სავარაუდოდ დასამატებელი, მიზანში იგულისხმება, რამდენი მომხმარებელი უნდა ყავდეს 2030 წლამდე ამ მიზნებს. იგივეა ინფრასტრუქტურის ნაწილშიც."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 16 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზ.ხამაშურიძე, გ.შუშანია, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-14, თავი შეიკავა კობა გურულმა და ელეონორა არჩაიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტის მოწონების შესახებ"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა აქვე** განმარტა: „ნუსხაში ხდება რამოდენიმე ობიექტის დამატება, ახლადრეგისტრირებულ ობიექტებზეა საუბარი, ხეთაგუროვის, თაბუკაშვილისა და ნიკეას ქუჩებზე არსებული მიწის ნაკვეთები, აქვე ავღნიშნავ, რომ თავიდან წარმოდგენილი გვქონდა ოთხი ობიექტი, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო აღმაშენებლის ქუჩა ამოვიღეთ პროექტის დანართიდან."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 16 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბ.ხამაშურიძე, გ.შუშანია, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-15, თავი შეიკავა ნინო ბიბილეიშვილმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 16 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბ.ხამაშურიძე, გ.შუშანია, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-15, თავი შეიკავა ნინო ბიბილეიშვილმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი N53ბ) პირდაპირი**

**განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), ოჯარის ფორმით, მოქალაქეებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საკითხი ეხება ჭავჭავაძის გამზირი N53ბ-ში არსებულ ბაზრობას, არსებობდა ხელეკრულება, რომლის მეორე მხარემაც მოიწერა, რომ გაწყვეტა სურდა და ეს ხელშეკრულება ორმხრივი შეთანხმებით გაწყდა, შეფასდა სამხარაულის მიერ და ფაქტობრივი მდგომარეობით, ვინც საქმიანობს ამ ბაზრობაზე (37 პიროვნება), რამდენი კვადრატული მეტრიც აქვს თითოეულს დაკავებული, ხდება მათთვის პირდაპირი წესით ამ დახლების გადაცემა, ოჯარის ფორმით."

მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ 2022 წელს ორჯერ გავიტანეთ ეს ოჯარა აუქციონზე და არავინ შემოვიდა, მესამედ გატანის დროს გამოჩნდნენ პიროვნებები, ვინც დაინტერესდნენ, 4 თვის შემდეგ აღნიშნეს, რომ წამგებიანია მუშაობა და გაწყვიტეს ხელშეკრულება. გამოდიოდა, რომ უნდა დაგვეკეტა ის ადგილი და დასაქმებული 37 ადამიანი გარეთ გამოგვეშვა, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ შემოსავალიც მივიღოთ და სოციალური ფონიც არ დავამძიმოთ ამ ხალხის უმუშევრად დატოვებით, მივწერეთ სამხარაულს, მათ ცალკე შეგვიფასეს მაღაზიები და ცალკე დახლები, ასევე მოვახდინეთ თითოეულ პიროვნებასთან ცალ-ცალკე ხელშეკრულების გაფორმება, ნოემბერში გადავაფასებთ და ისევ გავიტანთ ტენდერზე."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 16 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბ.ხამაშურიძე, გ.შუშანია, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი N53ბ) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), ოჯარის ფორმით, მოქალაქეებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო
მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე — ამირან კოპალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — ბაქარ მახარაძე